

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

ფინანსური ინფორმაცია:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	9
5. ძირითადი საშუალებები	10
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი	11
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
8. ფული და ფულის ექვივალენტები	11
9. ფინანსური ვალდებულება.....	12
10. საგადასახადო ვალდებულებები	12
11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13
13. დაკავშირებული მხარეები	13
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13
15. პირობითი ვალდებულებები	14
16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	14

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,710,236	1,527,482
აქტივის გამოყენების უფლება		-	30,215
გუდვილი		6,625,228	6,625,229
არამატერიალური აქტივები		106,256	106,256
		8,441,720	8,289,182
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	742,421	270,956
გადახდილი ავანსები		50,585	19,355
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	912,522	546,139
ფული და ფულის ექვივალენტები	8	592,105	398,053
		2,297,633	1,234,506
სულ აქტივები		10,739,353	9,523,688
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7,054,882	6,712,882
გაუნაწილებელი მოგება		2,043,683	1,388,262
არამაკონტროლებელი წილი		679,018	548,802
		9,777,583	8,649,946
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	9	470,047	618,148
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული მოკლევადიანი სესხები	9	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	10	134,128	11,890
მიღებული ავანსები		43,206	73,338
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		8,442	11,044
		305,948	159,321
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		961,771	873,742
		10,739,353	9,523,688

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 10 მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ვლადიმერ საყვარელიძე

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი


სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები		5,357,336	3,815,200
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(1,724,907)	(1,243,700)
საერთო მოგება		3,632,429	2,571,500
მიწოდების ხარჯი		(236,718)	(161,017)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,717,493)	(1,460,508)
საოპერაციო მოგება		1,678,218	949,975
ფინანსური ხარჯი		(56,330)	(61,141)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		56,127	5,400
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი, წმინდა		1,850	70,206
წმინდა მოგება		1,679,865	964,440
მოგების გადასახადი		(175,604)	(38,219)
წლის მთლიანი სრული მოგება		1,504,261	926,221
წმინდა მოგება მისაკუთვნიებელი:		1,504,261	919,190
დამფუძნებლებზე		1,309,690	813,900
არამაკონტოლებელ მხარეზე		194,570	105,290

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 10 მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ვლადიმერ საყვარელიძე

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	6,863,692	687,624	8,060,801
სხვა ცვლილება	(150,810)	(113,263)	(264,073)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	813,900	813,900
კაპიტალის ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	6,712,882	1,388,261	8,101,143
არამაკონტროლებელი წილის ზრდა		105,290	105,290
სხვა ცვლილება არამაკონტროლებელ წილში		(65,974)	(65,974)
სრული კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	6,712,882	1,937,064	8,649,945
სხვა ცვლილება		(654,268)	(654,268)
წლის მთლიანი სრული მოგება	342,000	1,309,690	1,651,690
კაპიტალის ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	7,054,882	2,043,684	9,098,565
არამაკონტროლებელი წილის ზრდა		194,570	194,570
სხვა ცვლილება არამაკონტროლებელ წილში		(105,804)	(105,804)
სრული კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	7,054,882	2,722,701	9,777,583

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

	<u>2023</u>	<u>2022</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,504,261	926,222
კორექტირებები:		-
ცვეთა და ამორტიზაცია	212,118	128,911
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	1,804	3,739
დარიცხული პროცენტები	5,521	13,518
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	1,850	(70,206)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	1,725,554	1,002,183
მარაგების შემცირება/(ზრდა)	(471,465)	(79,461)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	(396,752)	(136,278)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	112,433	(91,357)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდიდება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	969,770	695,087
გადახდილი პროცენტი	(5,521)	(13,518)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდიდება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	964,249	681,570
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(410,827)	(226,452)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	44,366	5,407
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(366,461)	(221,045)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში	342,000	-
მიღებული სესხი		35,853
გადახდილი სასესხო ვალდებულებები	(32,170)	(27,891)
არამაკონტროლებელი წილის ზრდა პერიოდში	41,449	
კაპიტალის სხვა ცვლილება	(760,071)	(335,299)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდიდება/(გადინება) ფინანსური საქმიანობიდან	(408,793)	(327,336)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	188,995	133,189
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	398,054	205,206
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში	5,058	59,659
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	592,107	398,054

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შპს სამომხმარებლო მომსახურების შემთხვევაში მავნებლების პრევენცია და კონტროლი (დერატიზაცია - დეზინსექცია - დეზინფექცია); ხოლო შპს კავკასიის ეკოსისტემის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სურსათის უვნებლობის, სანიტარიისა და ჰიგიენის სათანადო პრაქტიკის დაცვისთვის აუცილებელი პროდუქტების, აპარატებისა და მასალა-მარაგების რეალიზაციას. ასევე მომხმარებლებს უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების შესაბამისობისთვის აუცილებელ და შენობის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო პროდუქტებით. დედა კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინვესტიციო აქტივების მართვა, საინვესტიციო და ფინანსური კონსულტაციები.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის ვლადიმერ საყვარელიძის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 71, ("ც" კორპუსი).

2022 და 2023 წლებში კომპანიის მფლობელია ფ.პ. ვლადიმერ საყვარელიძე 100%.

2021 წლის დასაწყისში კომპანიამ შეისყიდა შპს სამომხმარებლო მომსახურების 88.5% წილი, ხოლო 2023 წლის ივლისში კომპანიამ შეისყიდა შპს კავკასიის ეკოსისტემის 90% წილი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. ფინანსური უწყისის არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანია

შვილობილი არის კომპანიის მიერ კონტროლირებადი ინვესტირებული საწარმო. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და, ასევე, ამ შემოსავლებზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს

შვილობილის ფინანსურ ანგარიშგებებს მათი (შვილობილების) კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის დამთავრების თარიღამდე.

ინფორმაცია მაკონტროლებელ და არამაკონტროლებელ წილებთან დაკავშირებით:

დასახელება	ქვეყანა, სადაც კომპანია ძირითადად საქმიანობს	31 დეკემბრისთვის მაკონტროლებელი წილის ოდენობა	31 დეკემბრისთვის არამაკონტროლებელი წილის ოდენობა
შპს სამომხმარებლო მომსახურება	საქართველო	88.5%	
ფ.პ ზვიად თვარაძე	საქართველო		11.5%
შპს კავკასიის ეკოსისტემა	საქართველო	90%	
ფ.პ ზვიად თვარაძე	საქართველო		10%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)

აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი

5

სატრანსპორტო საშუალებები

10

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური უწყისის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ექვივალენტები, მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ექვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშევა, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშევა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის უწყისში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს,

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რომ პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება				
1 იანვარი 2022	1,122,856	191,199	259,362	1,646,346
შემოსვლა	-	73,949	192,444	266,393
გასვლა	-	(5,162)	(7,653)	(12,816)
31 დეკემბერი 2022	1,122,856	259,986	444,153	1,899,924
შემოსვლა	58,500	131,219	221,108	410,827
გასვლა	(9,750)	(6,719)	(26,468)	(42,937)
31 დეკემბერი 2023	1,171,606	384,485	638,793	2,267,814
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2022	-	(67,689)	(109,356)	(177,045)
წლის ცვეთა	-	(46,604)	(79,534)	(126,138)
გასული აქტივების ცვეთა	-	1,661	2,009	3,670
31 დეკემბერი 2022	-	(112,632)	(186,881)	(299,513)
წლის ცვეთა	-	(81,015)	(123,494)	(204,509)
გასული აქტივების ცვეთა	-	4,050	15,321	19,372
31 დეკემბერი 2023	-	(189,596)	(295,053)	(484,650)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	1,122,856	147,354	257,272	1,527,482
31 დეკემბერი 2023	1,171,606	194,889	343,740	1,710,235

07-17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
ნედლეული და მასალები	425,561	238,615
სხვა	316,860	32,343
სულ მარაგები	742,421	270,958

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,039,505	609,468
გამოკლებული გაუფასურების ზარალის ანარიცხი	(126,983)	(63,329)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	912,522	546,139

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	409,517	215,292
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	182,395	181,706
ფული სალაროში	192	1,056
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	592,105	398,053

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

9. ფინანსური ვალდებულება

ფინანსური ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ლარში, შემდეგნაირად:

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
მოკლევადიანი	134,128	11,890
გრძელვადიანი	470,047	618,148
	<u>604,175</u>	<u>630,038</u>

10. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 43,206 ლარი (ვალდებულება).

11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

გაწეული მომსახურების თვითღირებულება 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2023</u>	<u>2022</u>
მარაგების ჩამოწერა	657,022	491,266
პირდაპირი ცვეთის ხარჯი	161,308	120,323
სხვა პირდაპირი ხარჯი	906,577	632,111
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	<u>1,724,907</u>	<u>1,243,700</u>

შპს საინვესტიციო მომსახურების ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2023</u>	<u>2022</u>
პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები	551,644	579,834
ავტომობილის საექსპლუატაციო ხარჯი	322,086	269,477
როიალტის ღირებულება	321,566	240,786
იჯარის ხარჯი	124,407	68,880
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	121,000	66,446
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	82,801	43,439
მივლინების ხარჯი	61,263	83,581
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	28,804	19,321
ცვეთის ხარჯი	16,422	8,588
სხვა საერთო ხარჯი	87,500	80,156
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,717,493	1,460,508

13. დაკავშირებული მხარეები

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
სავაჭრო ვალდებულება	-	36,265
სავაჭრო მოთხოვნა	-	1,297

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

15. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებებზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლები მოიცავს მავნებლების კონტროლისა და პრევენციის მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავლებს.

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდათმობისა და გადასახადების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ფლობის მიზანს წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ექვივალენტებს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან

მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შემენის ხარჯსა და ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორისი სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი /	
	ლარი	ევრო/ლარი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან

ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური უწყისის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ უწყისში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.